საკროსვორდო-შემეცნებითი გაზეთი №16 (258), 7 - 13 ივნისი, 2002 წ. პარასკევის გამოშვება 40 თეთრი

# ფანტაზია

## 2002 წლის გაზაფხულის საკროსვორდო ჩემპიონატის ფინალური მატჩის კროსვორდი

**...როგორც გასულ ნომერში მოგახსენეთ, ამა წლის 26 მაისს დაგეგმილი გვქონდა საკროსვორდო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დასრულებული მატჩების გამართვა, რასაც პირობითად „საკროსვორდო ზეიმიც“ კი ვუწოდეთ... მართალია, ეს „ზეიმი“ ჯერ კიდევ შორსაა მისი თემის საკადრისი მასშტაბურობისაგან, მაგრამ მასში მონაწილე ადამიანებს მაინც საკმაოდ დიდი სიამოვნება მიანიჭა, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია ამქვეყნად...**

*(იხილეთ მე-2 გვერდი)*

**ტარიელ გასიტაშვილი (კასპი) – 25**



**ზურაბ სესიტაშვილი (სიღნაღი) – 19**

**მივმართავთ ყველას, ვისაც თუნდაც უმნიშვნელო შეხების წერტილი და ინტერესი გააჩნია „მისი უდიდებულესობა კროსვორდის“ მიმართ!**

**ჩვენ უკვე გვაქვს საკროსვორდო ტურნირებისა და მატჩების გამართვის პრაქტიკაცა და ტრადიციაც! დაგვიდეგით მხარში თქვენც!!!**

### თარაზულად:

8. ჩვენი ისტორიის ცნობილი პიროვნება, ტაოს ერისთავთ-ერისთავი XI საუკუნეში. 9. ქუშანთა ქალაქ ქაფისის ნანგრევები ავღანეთში (და იქვე მდებარე აეროდრომის სახელიც, დავუმატებთ ამას). 11. ითქმის ხილის ზოგიერთ ჯიშზე. 12. (....) (ერისთავი) დომინიკა - XIX-XX საუკუნის პოეტი. 14. ფრიად კულინარული დატვირთვის მქონე ტოპონიმი საქართველოში. 15. სოფელი გალის რაიონში (სადაც მდებარეობს ცნობილი ტაძარი, დავუმატებთ ამას). 16. პირენეს მთების უმაღლესი მწვერვალი, 3404 მეტრი (ესპანეთი). 19. ზანგების სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა. 20. მთათა სისტემა სამხრეთ ციმბირში. 21. კომპიუტერული ენის სახესხვაობა, რომელსაც მეტად „პოეტური ძირები“ აქვს. 25. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთი, დედამიწის განსახიერება. 26. დედაქალაქი და მთავარი პორტი რესპუბლიკა კაბო-ვერდესი. 27. რა არის ის, რასაც ორი ამგვარი განმარტება აქვს: მონათოვი ნისლი ან ყინულზე სასრიალო იალქნიანი მსუბუქი ნავი? 31. რა არის შოუ თავისი არსით? 32. თქვენ ეს ფრანგული გამოთქმა ნამდვილად იცით, ის ქალს უკავშირდება... მაშ, გაიხსენთ ამ ფრაზის პირველი სიტყვა.... ფრანგულად! 33. ჰუნების წინამძღოლი V საუკუნეში. 36. შალის ძვირფასი საკოსტუმე ქსოვილი. 37. რუსი დრამატურგი, კინოსცენარისტი; ძირითადად მუშაობს ერთ თავის „ნახევრადკოლეგასთან“ ერთად. 39. ძვ. წ. აღ. II-I საუკუნეების ბერძენი მოქანდაკე, ლაოკოონის ქანდაკების ავტორი. 40. სუბტროპიკული ხე მსხლისმაგვარი ნაყოფით.

### შვეულად:

1. XX საუკუნის არგენტინელი მომღერალი და მსახიობი, „ტანგოს მეფედ“ წოდებული. 2. ლუი ანტუან დე - XVIII-XIX საუკუნის ფრანგი ზღვაოსანი. აგრეთვე: ვულკანური კუნძული პაპუა-ახალი გვინეის შემადგენლობაში. 3. გემი, რომლითაც ჩარლზ დარვინმა დედამიწის გარშემო იმოგზაურა. აგრეთვე: სამონადირეო ჯიშის ძაღლი. 4. წვრილი ფული ინდოეთში. 5. ამ ცნობილი პოლიტიკური დინასტიის სამი წარმომადგენლიდან, რომლებიც „ფანტაზიის“ ენციკლოპედიაში მოხვდნენ, ერთი ესაა: მოჰანდას კარამჩანდ - ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 6. სახელი „რეგიონისა“, რომლის ცენტრიც ქალაქი სეილემი გახლავთ. 7. ჰარმონიულად მერხევი სიდიდის ნულოვანი მნიშვნელობიდან უდიდესი გადახრა. 10. ნიანგისებრი ქვეწარმავალი, ბინადრობს ინდოჩინეთის და ინდოსტანის მდინარეებში. 13. იგივე ბეგი, ან ტუნისის მმართველთა ტიტული XVIII-XX საუკუნის შუახანებამდე. 17. გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ადგილობრივი ადმინისტრაციის დაბალი მოხელე, სოფლის მამასახლისის ხელქვეითი. 18. XIX საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი. (რომელმაც მხოლოდ 21 წელი იცოცხლა, თუმცა მაინც მოასწრო მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის დატოვება). 22. ქალაქი-პორტი შვედეთში. 23. ინგლისური ოქროს მონეტა XVI-XIX საუკუნეებში. 24. ერთ-ერთი უძველესი უნივერსალური ენციკლოპედია. 28. ამ გვარის მქონე სამი ძველრომაელი მოღვაწიდან ერთ-ერთის შესახებ „ფანტაზიის“ ენციკლოპედია გვაუწყებს: მარკუს იუნიუს - ძვ. წ. I საუკუნის რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, იულიუს კეისრის წინააღმდეგ შეთქმულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 29. შიიტების სამგლოვიარო რიტუალი. 30. ალექსანდრე ჩაკოვსკის რომანი. 34. გაეროს ამჟამინდელი გენერალური მდივანი. 35. ამარილისისებრთა ოჯახის მცენარე (ველურად ხარობს მხოლოდ მექსიკაში, დავუმატებთ თქვენთვის). 38. ნაპოლეონის პირადი მხატვარი.

**შეადგინა გიორგი ვეკუამ „ფანტაზიის“ ენციკლოპედიაზე დაყრდნობით**

## 26 მაისი, საკროსვორდო ფინალები

მატჩები ასეთი წესით ჩატარდა:

მონაწილენი მონაცვლეობით ხსნიდნენ კროსვორდის კითხვებს. თუ ამა თუ იმ კითხვის პასუხი არასწორად იყო გაცემული, მისი დაზუსტების უფლება ეძლეოდა მოწინააღმდეგეს და სიმართლის შემთხვევაში ქულაც ეწერებოდა და თუ პასუხი არ იყო სწორად გაცემული არც ერთი მოპაექრის მხრივ, კითხვა გადადიოდა რეზერვში.

მონაწილეებს ჰქონდათ სამი დახმარების უფლება: 1) პირველი ასოს გახსნა; 2) ავტორის მიერ კითხვის დაზუსტება; 3) სეკუნდანტის დახმარება.

ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ ამოუხსნელ და რეზერვში გადასულ კითხვებზე მოწინააღმდეგენი სეკუნდანტების დახმარებით ხუთი წუთის განმავლობაში ფიქრობდნენ და ამ კითხვების პასუხების წარმოდგენის შემდეგ დგინდებოდა საბოლოო ანგარიში (ეს უკანასკნელი წესი ძალაში შევიდა მხოლოდ ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებზე).

თბილისი. 26 მაისი. 90-ე საშუალო სკოლა. 14-18 საათი.

### პირველი მეოთხედფინალი

**გიორგი ნიშნიანიძე – ნინო ურუშაძე**

ამ მატჩის ფავორიტი, რა თქმა უნდა, ბატონი გიორგი გახლდათ, რომელსაც უკვე ჰქონდა ამგვარი მატჩის გამართვის პრაქტიკა და მეტოქეც, თუ შეიძლება ითქვა, არატიტულოვანი ჰყავდა, რადგან ქალბატონი ნინო მატჩებზე ელეონორა ფურცელაძის არყოფნის გამო იქნა დაშვებული.

ამ მატჩში პირველი სენსაცია დაფიქსირდა! (1992 წელს დანიასავით შემთხვევით მოხვედრილმა) ნინო ურუშაძემ ჩემიონობის მთავარი ფავორიტი დაამარცხა მინიმალური სხვაობით - 12:11.

### მეორე მეოთხედფინალი

**ტარიელ გასიტაშვილი – მარინე ხაჩირაშვილი**

ჩვენი საკროსვორდო ჩემპიონატების ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან წარმომადგენელს, ქალბატონ მარინეს უმაღლეს ლიგაში ახლად გადმოსული ბატონი ტარიელი დაუპირისპირდა. მატჩის პროგნოზები, ამ უკანასკნელის გამარჯვებას უჭერდა მხარს, მაგრამ ხაჩირაშვილის ძველი „ფანტაზიელობაც" ბევრის მთქმელი იყო... რა თქმა უნდა, ბატონი ტარიელის გამარჯვება კანონზომიერი აღმოჩნდა, მაგრამ მას ბედმაც გაუღიმა თუნდაც იმიტომ, რომ ამ მეოთხედფინალის კროსვორდში ორი საკმაოდ „კასპური მცნება" იყო ჩაქსოვილი... დიახ, გაიმარჯვა კასპის წარმომადგენელმა 12:11.

### მესამე მეოთხედფინალი

**ლიანა კუსრაძე – ლილე აქუბარდია**

სამწუხაროდ მოხდა ისე, რომ ამ მატჩის კროსვორდი ძალზედ დაუხვეწავი და მარტივი აღმოჩნდა და მატჩის ბედი ერდადერთმა ლაფსუსმა გადაწყვიტა, როცა ქალბატონი ლილე ყურადღების მცირეოდენი მოდუნების გამო მარტივ სიტუაციაში შეცდა და შემდგომ, კროსვორდის სიმარტივის გამო, ვეღარ შეძლო შეცდომის გამოსწორება. ჩემპიონატის ორგანიზატორები ოფიციალურ ბოდიშს იხდიან ქალბატონი ლილეს წინაშე და აფიქსირებენ ქალბატონი ლიანას დამსახურებულ გამარჯვებას 15:14.

### მეოთხე მეოთხედფინალი

**ზურა სესიტაშვილი – ლელა ბუბაშვილი**

ამ მატჩშიც ერთადერთმა დაუკვირვებლობამ გადაწყვიტა ყველაფერი. ქალბატონი ლელას არასწორი პასუხი ბატონმა ზურამ დააზუსტა და მატჩიც მოიგო ორი ქულით - 15:13.

### ნახევარფინალები

**გასიტაშვილი – კუსრაძე 18:18**

**სესიტაშვილი – ურუშაძე 17:17**

ორივე მატჩი თითქმის ერთგვარი სცენარით წარიმართა. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ. თანაბარი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეების ქულები სეკუნდანტთა დახმარების შემდეგაც, თუმცა მატჩების მსვლელობისას იყო მომენტი, როცა ქალბატონებმა აშკარად დაჯაბნეს თავისი მოწინააღმდეგენი, მაგრამ ერთი სიტყვის ერთადერთმა არასწორად ამოცნობილმა ასომ მათი გამარჯვებისაკენ სწრაფვა შეაფერხა და ჩემპიონატის ორგანიზატორები იძულებულნი იყვნენ დაენიშნათ დამატებითი ბლიცკითხვები, რასაც ქალბატონი მანანა მაისურაძე წარუძღვა.

დამატებითი კითხვების შემდეგ გაირკვა ერთადერთი რამ - რომ „ფანტაზიის" საკროსვორდო ჩემპიონატებში შეწყდა ქალთა ჰეგემონია და ფინალში ჩვენი ჩემპიონატების „ჩემპიონთა ჩემპიონი", სიღნაღელი ზურა სესიტაშვილი და კასპიდან „შემოჭრილი მეტეორი" ტარიელ გასიტაშვილი ითამაშებდნენ.

### ფინალი

**გასიტაშვილი – სესიტაშვილი**

მეტოქეებმა სეკუნდანტებად ლილე აქუბარდია და ლელა ბუბაშვილი აირჩიეს; პირველი სვლა კასპის წარმომადგენელმა გააკეთა, დებიუტიც სწრაფად გათამაშდა და დადგა მომენტი, როცა მონაწილეებმა დახმარებები ითხოვეს, რაც, ჩვენი აზრით, ტაქტიკურად და სტრატეგიულად უფრო კარგად გასიტაშვილმა გამოიყენა; მანვე შეძლო მოწინააღმდეგის სვლაზე ქულის ართმევაც და როცა მატჩის ძირითადი დრო ამოიწურა, ანგარიში უკვე საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ - 19:14. სეკუნდანტებთან ხუთწუთიანმა თათბირმა ბატონ ტარიელს კიდევ ერთი ქულა შესძინა და საერთო ანგარიშით - 25:19 - გამარჯვება გასიტაშვილს დარჩა.

* * *

ჩვენ ეს რეპორტაჟი საკმაოდ მშრალად და ოფიციალურად წარვმართეთ, რადგან მთელი იუმორი და გონებამახვილობა, რაც ამ მატჩებისათვის გვქონდა გამზადებული, ღონისძიების „მეორე ნაწილში" დაიხარჯა.

მადლობას ვუხდით ჩვენს მასპინძელს, 90-ე სკოლის დირექტორს, ქ-ნ ნანა ხიდეშელს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა კროსვორდისტების პრობლემები და დაგვეხმარა მატჩების ორგანიზებაში. ჩვენთვის (*იგულისხმება მთ.რედაქტორი*) სასიამოვნოა ასეთი მშვენიერი ქალბატონის გაცნობა!

## ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩის კროსვორდი



1. ცოცხალ არსებათა გარკვეული ნაწილის კიდური შემადგენელი ნაწილი. 2. ვერიკოს და სოფიკოს მოყვარული კაცის გვარი. 3. თბილისის შემოგარენში მდებარე რამოდენიმე ტოპონიმის შემადგენელი ნაწილი. 4. ატმოსფერული მოვლენა, სადაც ქროლა და ნამცეცთფრიალი ერთმანეთთანაა შერწყმული. 5. რამდენი შეიძლება იყოს 97-იც, 98-იც და 99-იც? 6. გვარი კაცისა, რომელიც დიდი მოურავის დაკავებას ცდილობდა. 7. დაბადებით თბილისელი, საბჭოური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტატისტიკოსი. 8. საბჭოეთის მოქალაქე, რომლის წასვლა კარტოფილის ამოსაღებად ბავშვმაც კი იცოდა სსრკ-ში. 9. მისი სახელით თუ ვიმსჯელებთ, ამ ფირმის წარმოებული პროდუქცია ქართველებს არ უნდა მოსწონდეთ... იაპონელები კი ამაყობენ მისით. 10. ამასწინათ თბილისში „ფანტაზიის" კოლეგა გაზეთი გამოვიდა, რომლის სათაური შეიძლება ასე ითარგმნოს ინგლისურიდან „ჯვარედინი ქვეყანა"... ანუ? 11. თანამედროვე მომღერალი, რომელსაც ყველაზე მეტად უდის ნავთის სუნი. 12. ჩაის შემცვლელი ბალახი... იმ შორეულ დალოცვილ დროს. 13. XIX საუკუნის რუსი პოეტი. 14. ქართულ ადმინისტრაციულ სინამდვილეში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი არაქართული ტოპონიმი. 15. ქუჩა, სადაც ყველაზე ბევრი თეატრია განთავსებული მთელი მსოფლიოს სხვა ქუჩებთან შედარებით. 16. საბჭოური წარმოების მაცივრების მარკა. 17. კაცი, რომელიც ყველაზე უკეთ ჩაწვდა და ასახა „ერთის ნახვით შეყვარება" 18. ეს არსება ყველგან შეიძლება ჩამოჯდეს... გააჩნია მისი მხსენებელი ვისთან და რის შესახებ საუბრობს. 19. რა აღმოჩნდა კრწანისი 1795 წლის ტრაგედიის გასიგრძეგანების თვალსაზრისით? 20. რა მოხდა სომხეთში 1915 წელს? 21. ელექტრული დანიშნულების ინვენტარი. 22. ქართული ისტორიის მამის მშობლიური სოფელი. 23. პერსონაჟი ვასო გოძიაშვილის სატელევიზიო მოღვაწეობიდან. 24. არსებობს ასეთი ანეკდოტი: ოსს მკვლელობაში ედება ბრალი და ეკითხებიან: - შენ მოკალი ის კაციო? ოსი პასუხობს: - მე მოვკალი, მაგრამ (...............რაო?) 25. ჩვენი დიდი მგოსანი სწორედ ასეთი იყო, როცა საქართველოს დედაქალაქში დაბრუნდა. 26. დიდი ტირაჟებისათვის გამოყენებული საბეჭდი ფორმა ძველებურ სტამბებში. 27. სახელი კაცისა, რომელიც 1982 წლის სპორტულ სამყაროს გმირად მოევლინა. 28. ყველგან კარგად ცნობილი ქართული მიმართვა. 29. ის, სადამდეც საქართველო ამჟამად, სამწუხაროდ, სიმბოლურად ითვლება. 30. გათამამებული ანუ? 31. ყველაზე კარგი მოქართულე ჩეჩენი დღეს. 32. რუსული ჭადრაკის მამა... ასე ვთქვათ.

**არსებული „არასაკროსვორდო" ვითარების გამო იძულებულნი ვართ ივნისის თვეში საგანგებო რეჟიმით ვიმუშაოთ და „ფანტაზიის" პარასკევის ნომერიც საგანგებო მოცულობისა გამოვცეთ. იმედი გვაქვს, რომ მკითხველს მალე მოუბრუნდება კროსვორდისკენ გული.**

# ნახევარფინალური მატჩების კროსვორდები

**(კროსვორდებში შეტანილია მცირეოდენი კორექტივები, რადგან ამჯერად ფართო მკითხველისათვისაა განკუთვნილი)**

## პირველი ნახევარფინალი



ტ.გასიტაშვილი

ლ.კუსრაძე

1. საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულის ცენტრალური ისტორიული რეგიონი, „სამოთხის მხარედ“ წოდებული. 2. ერთ-ერთი სრუტე, რომელიც ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს აერთებს. 3. ხელოვნების ნაწარმოები, რასაც ყველაზე მეტი „ჰიგიენური საშუალება“ ახასიათებს... ზოგჯერ. 4. თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მისალმება. 5. თანამედროვე იტალიელი კინორეჟისორი. 6. ერთ-ერთი სინონიმი სიტყვისა „უნარი“. 7. საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი პერუში. 8. ის, რისი შემოჭრა თვალით აღუქმელ სიჩქარესთანაა დაკავშირებული. 9. როგორი ადამიანი ვერ ივარგებს თუნდაც კროს-ვორდების შედგენაში?10. XV საუკუნის ფრანგი მამა-შვილის, ჰუმანისტების, ფილოსოფოსების და ფილოლოგების გვარი. 11. ხშირად ეს თავისზე უკეთესის ნაცვლად იხმარება ხოლმე (რაღაცაში) ეკონომიურობის თვალსაზრისით. 12. ლექსის სახეობა, სადაც სტრიქონების საწყისი ასოები რაღაც ახალ ფრაზას ქმნიან. 13. ჩვენთან თუ დევია საშიში და საზარელი, სკანდინავიელებისათვის ეს არის... რა (თუ ვინ?). 14. სახის გაფერმკრთალების ერთ-ერთი „საშუალება“. 15. ცეკვაც, ხაჭაპურიც. 16. ერთგვარი მრგვალი ნამცხვარი. 17. ძველი სატრფიალო-საქორწინო რიტუალების აუცილებელი პერსონაჟი. 18. რაჭის ცნობილი სოფელი. 19. ჩეხური წარმოების ავტომობილი. 20. ახლო წარსულის ცნობილი იუგოსლაველი მოჭადრაკე-დიდოსტატი. 21. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა. 22. უხეში ქსოვილი. 23. ვინ იყო ჰარუნ-არ-რაშიდი? 24. „ელქტროშეტევისაგან“ შენობა-ნაგებობის დამცავი საშუალება. 25. კიდევ ერთი ცნობილი სოფელი რაჭაში. 26. ცნება, რომელიც არსებითი სახელის რაოდენობრივ ფაქტთანაა დაკავშირებული. 27. მუშკეტერთა ლიდერი დიუმას ცნობილი რომანის თანახმად. 28. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც „მოსფილმის“ წარმოებულ ყველა ფილმს იწყებდა. 29. ის, რამაც თავის დროზე რობერტინო ლორეტის (იყო ასეთი მომღერალი) სიმღერაზე ხელი ააღებინა. 30. (.........) უელსი, ცნობილი თანამედროვე ამერიკელი კინორეჟისორი და მსახიობი. 31. ფსევდონიმად გამოყენებული ვისიმე ნამდვილი სახელი. 32. არაბული ქალაქი, სადაც ყველაზე უკეთ იცნობენ ქართველებს. 33. იტალიელი პორნოვარსკვლავის, ჩიჩოლინას ნამდვილი გვარი. 34. როგორი ბიჭია ლონდრეს მეგობარი გაბრიელი? 35. ქალაქი, სადაც ეიზენშტეინმა „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ გადაიღო. 36. ამასწინათ მანანა შევარდნაძემ ტელევიზიით თქვა - ტყუილად გვწამებენ, ჩვენ ეს არ გვაქვსო... რა?. 37. ჩრდლოეთ ამერიკასა და კანადაში განთავსებული ნახევა-რკუნძული. 38. პიროვნება, რომელიც რუსეთის იმპერატრიცამ მეფე ერეკლეს დასახმარებლად წამოუმძღვარა რუსის ჯარს. 39. კროსვორდის ავტორს „ეს“ რომ ჰქონდეს,ამდენს არ გაწვალებდათ... რა? 40. კოტე დაუშვილმა იპოლიტე ხვიჩიას ერთ ფილმში უთხრა - „ამას“ გამოგიცხადებო... რა იგულისხმება?

## მეორე ნახევარფინალი



ზ.სესიტაშვილი

ნ.ურუშაძე

1. ცნობილი თანამედროვე ქართველი პოეტი. 2. ქართული საბავშვო მუსიკის ყველაზე „ღუღუნა“ სუბიექტი. 3. ეშმაკის კუთვნილი პროდუქტი. 4. კოლექტიური ფსევდონიმის ნაწილი, რითაც პოეტი ა.კ. ტოლსტოი და ძმები ჟემჩუჟინოვები სარგებლობდნენ. 5. ეს სიტყვა აზრობრივადაც და იერარარქიულადაც ასე შეიძლება „გაიშიფროს“ - „სადგურში ყოფნა“. 6. შექსპირის ერთ-ერთ სონეტში მოხსენიებულია „სატურნი“, ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა კი ეს ცნება სხვაგვარად თარგმნა... რა შეუნაცვლა მან სატურნს? 7. უებარი საშველი ყოველი სიტუაციისათვის. 8. არსებობს ასეთი სახელის მქონე ჩვენი მედუდუკეთა ანსამბლი... რა სახელია ეს? 9. ფილმი ლეონარდო დი კაპრიოს მონაწილეობით. 10. რა აერთიანებს პოლონურ ლიტერატურას და რუსულ ტელემაუწყებლობას? 11. დასვენების დღეების წინა პერიოდი. 12. ერთგვარი ხელოვნური ტყავი. 13. ნამდვილი ვაჟკაცისათვის აუცილებელი ერთ-ერთი სუბიექტი... გავრცელებული აზრის თანახმად. 14. ყველაზე „მცივანა“ ნაყოფი... რა იგულისხმება? 15. ქალაქ გაგარინის ძველი სახელი. 16. სახელი ქალისა, რომელიც ოთარ მელვინეთუხუცესის ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმის სათაურში მოიხსენება. 17. ჩვენი საზოგადოების მთავარი ბურჯის თანამდებობა. 18. სამი ცალი ლარად... ასე ყვირიან მეტროპოლიტენის სადგურებთან... რა იგულისხმება? 19. კომპიუტერული დისკეტას ასეთი წინსართი ახლავს ხოლმე. 20. არაცენტრალური რეგიონი. 21. ქართული კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კულაკი. 22. კიპლინგის შემოქმედების „ჰაჯი-უსუბი“. 23. ჯიუტი და გაუგონარი... ანუ როგორი? 24. ლამაზი დარტყმის სახეობა ფეხბურთში. 25. საგნის გარეგნულ პარამეტრებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ცნება. 26. მეტყველების მელოდიური მხარე. 27. თავის საქმეში მთავარი მამრი სუბიექტის განზოგადებული ტიტული. 28. მტკვრის ერთ-ერთი შენაკადი. 29. მაღალი მოდის წარმომადგენელი ჩვენი სამეზობლოდან. 30. ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი წარმომადგენელი ფაუნის სამყაროდან. 31. „ფანტაზიის“ სკანდინავიური კროსვორდების 2001 წლის ერთ-ერთი მთავარ-გამაერთიანებელი პერსონაჟის სახელი. 32. ქალაქი საფრანგეთში პარიზის სიახლოვეს, მდინარე სენაზე. 33. ერთ-ერთი ხელიდან ხელში გადასასვლელი ინვენტარი ფილმში „დაკარგული სამოთხე“. 34. XX საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერალი, რომელმაც სახელი დიდი ადამიანების შესახებ შექმნილი ბიოგრაფიებითაც გაითქვა. 35. რა ეხერხებოდა ყველაზე უკეთ გივი კარტოზიას? 36. მსოფლიო ესტრადის ყველაზე დაბალი ტანის მომღერალი. 37. უფერო საწვავი შხამიანი გაზი. 38. ფინანსებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ქმედება. 39. ჩრდილო კავკასიის ისტორიული სახელი ჩვენი მატიანეების თანახმად. 40. ღამის ერთ-ერთი ფრინველთაგანი.

ფანტაზია





**მეორე ტური,
8 ივნისი,
დარეკეთ
19-21 სთ**

# ქალთა საკროსვორდო ტურნირი

**ტელეფონები:
79-53-70 და
(877)-72-61-18**



**თარაზულად:**

**1**. საქართველოს ქალაქი, რომელიც აკუსტიკურად ერთი დიდი წყალსატევის „ნათლიად“ ან „ნათლულად“ შეიძლება მივიჩნიოდ.

**4**. თერმოდინამიკური სისტემის ერთ-ერთი მაკროსკოპული მახასიათებელი.

**11**. ჰოლივუდში მოღვაწე ოსკაროსანი დისა და ბოევიკი ძმის საერთო გვარი.

**12**. ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენის „ბეჭდების მბრძანებლის“ მთავარი პერსონაჟი.

**13**. აბრევიატურა, რომელსაც კათოლიკურ ჯვარცმებზე ვხვდებით.

**16**. ფრანგი ფილოსოფოსი, ეტიენ ბონო დე... (1715-1780).

**17**. კუნძული ავსტრალიის კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

**19**. სოფელ ყანობში გამართული „წვეულების“ ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

**20**. „ღამის ამცახცახებელი“ მესტვირე ქართულ პოეზიაში.

**24**. რა ჰქვია მომღერალ-შანსონიე ალექსანდრე ვერტინსკის ერთ-ერთ ქალიშვილს?

**25**. ქრისტიანული დღესასწაული.

**29**. ელექტრულ წრედებში ავტომატური კომუტაციისათვის საჭირო ელექტრო ხელსაწყო.

**30**. მსხლის ჯიში.

**31**. ამჟამად ქალაქ ლივერპულში მოღვაწე ფრანგი მწვრთნელი.

**34**. ნეკროპოლისი - თავისი არსით.

**35**. რაიმე ძვირფას ქვაზე ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება.

**38**. დღესდღეობით ყველაზე ცნობილი პოლონელის ნამდვილი გვარი.

**39**. არის ასეთი ანეკდოტი, რომელიც მხოლოდ ერთი ფრაზისაგან შედგება - „ჩუქჩა არის... რა?“.

**42**. ესპანეთის ავიაკომპანია.

**43**. გერმანული წარმოების მსუბუქი ავტომობილი.

**44**. ასტრიდ ლინდგრენისეული ნორჩი შერლოკ ჰოლმსის, გვარად ბლუმკვისტის სახელი.

**45**. ფიჭიანი თაფლი.

**46**. იხილეთ ფოტო და ამ ფეხბურთელის გვარი გაიხსენეთ (..ახლა ამის გაკეთება ძნელი არ არის).

**შვეულად:**

**2**. მიხაილ ლერმონტოვისეული პერსონაჟი.

**3**. ინგლისელი ექიმი, რომლის გვარსაც ხმარობენ იმ ადამიანთა მისამართით, რომლებიც, ერთი ხუმრობის თანახმად, საუკეთესო თერმომეტრის დამფერთხველები ან პილპილის მომყრელები არიან სახინკლეებში.

**5**. XVI ს მოღვაწე დიდი ფრანგი ქირურგი, ამბუაზ...

**6**. სახელი ტბისა, რომლის მახლობლადაც რედიარდ კიპლინგის მშობლებმა ერთმანეთი გაიცნეს.

**7**. რობერტ ფრანკენჰეიმერის ფილმი რობერტ დე ნიროსა და ჟან რენოს მონაწილეობით.

**8**. თბილისის დაწესებულება, რომელსაც უკანასკნელ ხანს თბილისის მამაკაცთა დიდი ნაწილი აწყდება.

**9**. ბიბლიური წინასწარმეტყველი, რომელმაც მესიის დაბადება იწინასწარმეტყველა.

**10**. „ლოცვა“ - ძველ ბერძნულად.

**14**. ჟაკ ივ კუსტოსა და ეჟენ განიონის გამოგონება.

**15**. გლაზგოს „რეინჯერსში“ ამ გვარის ფეხბურთელს ლორენცო ჰქვია, ტურინის „იუვენტუსში“ კი ნიკოლა... რა გვარის?

**18**. თანამედროვე რუსი გროსმეისტერი მოჭადრაკე.

**21**. რაიმე საგნის ზედაპირზე ჩაჭდევებული ძვლის ან სადაფის ზედაპირი.

**22**. „დიდი იმედის მქონე“, ადამიანების დაკავშირების იდეით შეპყრობილი, პოლონელი ოკულისტის ქმნილება.

**23**. ადამიანის სხეულის ნაწილი.

**26**. სახელი გოგონასი, რომელმაც ჯერ ბანქოს ქაღალდების სამყაროში იმოგზაურა, შემდეგ კი ჭადრაკის დაფაზე.

**27**. რუსული წარმოშობის კომპოზიტორი, რომელმაც 1934 საფრანგეთის, ხოლო 1945 წელს კი - აშშ-ს მოქალაქეობები მიიღო.

**28**. რა ეწოდება „პარამისტიკურ“ უნარს, როდესაც ადამიანი საგნებს უშუალო კავშირის დამყარების გარეშე, შეუხებლად ამოძრავებს.

**32**. ქალღმერთი, რომელსაც შეხედა განხეთქილების ვაშლი.

**33**. ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ ლიტერატურული პირველწყაროს ავტორი.

**36**. ფრანგი მათემატიკოსი, ალექსი კლოდ... (1713-1765).

**37**. გოგონა, რომელიც ნარინჯისფერ ცას უმღეროდა ოდესღაც საბჭოეთში.

**40**. რაიმეს სუფთა წონა.

**41**. ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი მეფე.

პირველი ადგილი - **უთო**
მეორე ადგილი - **ჩაიდანი**
მესამე ადგილი -
**საკროსვორდო ენციკლოპედიის** (ა-გ)
ჩანაწერი დისკეტაზე

ის არასუპერლიგელი,
ვინც საუკეთესო შედეგს
აჩვენებს, ჩაირიცხება
სუპერლიგაში

მესამე ტურის კროსვორდი
გამოქვეყნდება სამშაბათის
გამოშვებში, 11 ივნისს



**პირველი და მეორე ტურის შედეგებს ერთდროულად შემოგთავაზებთ 11 მაისის სამშაბათის გამოშვებაში. იმისათვის, რომ მეორე და მესამე ტურიდანაც შეგეძლოთ ტურნირში ჩართვა, ქულებს გამოვითვლით ასე: ქულათა ჯამი გაიყოფა ტურების რაოდენობაზე, თუმცა მინიმუმ ოთხ ტურში მაინც უნდა გქონდეთ მიღებული მონაწილეობა.**

**თარაზულად:**

1. რა ჰქვია საქართველოს ახლანდელ კულტურის მინისტრს? 4. თოვლნარევი ქარი. 7. მელიტონ ქანთარიას თანამოსაქმე რეიხსტაგის დაპყრობის საქმეში. 13. რუსი მსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ტატიანა ლიოზნოვას ფილმში „**Три Тополя на плющихе**“. 14. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განადგურებას, მასების სტიქიური ამბოხების ხარჯზე. 15. ქალაქი პროვანსში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვინსენტ ვან-გოგი. 18. შენობის საძირკველი. 19. ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი, რომელიც თავისუფალ თეატრში დაიდგა. 21. შოტლანდიელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი, კლასიკური პოლიტეკონომიის მამამთავარი. 22. დადებითად დამუხტული ატომის ბირთვის გარშემო მოძრავი უარყოფითი ელემენტარული ნაწილაკი. 23. უძველესი სახელმწიფო, რომელიც დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე არსებობდა. 27. ცხვრის ნაშიერი. 28. წყლის დიდი ჭურჭელი. 29. არქიტექტორი, რომელმაც დღევანდელი ქალაქ ბარსელონის თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობა შექმნა. 34. ათი ცენტნერი. 35. დედამიწის უმაღლესი მთათა სისტემა. 36. რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის ყველაზე დაახლოებული პირი, რომელიც მეორე კაცი იყო რუსეთის იმპერიაში ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლამდე. 40. სითხე, რომელსაც უმეტესწილად კარგ ღვინოს ადარებენ ხოლმე. 41. ეროტიული ხასიათის დასავლური ჟურნალი მამაკაცებისათვის. 42. გერმანელი ფიზიკოსი, იოჰანეს... 1919 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში. 45. კერძო მასწავლებელი. 46. სამკურნალო დაწესებულება. 47. წყლის ფრინველი. 50. ის, რასაც წარმოადგენს თავისი არსით შემდეგი დაავადებები - პელაგრა, ქათმის სიბრმავე, სურავანდი. 51. რა ჰქვია გოგონას საკერავი მანქანით ქართულ კინოში? 55. ის, რის სიმბოლიზირებასაც ახდენს თითოეული ვარსკვლავი აშშ-ს დროშაზე. 56. იტალიური წარმოშობის საზოგადოებრივი კვების ობიექტი. 57. ცხოველური ექსკრემენტი. 62. გერმანიის სამრეწველო მნიშვნელობის მდინარე. 63. საკმაოდ პოპულარული სამკურნალო პრეპარატი. 64. სიტყვა, რომელმაც ტელეპროგრამა „კომუნიკატორში“ ერთობ მაგიური დანიშნულება შეიძინა. 67. გერმანიის ერთი ქალაქის მიერ სახელდანათლული ბუტერბროდის ნაირსახეობა. 68. ყველაზე დიდი კონტინენტი ყველა არსებულს შორის. 69. ნორვეგიის დედაქალაქი. 72. პირენეების ნახევარკუნძულის უმაღლესი მწვერვალი. 73. ვიდეო-აუდიო ქმნილება. 74. ოფიციალური ხელწერილი ფულის მიღების შესახებ. 79. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ძალზედ ესიმპატიურებოდა გალაკტიონს. 80. ჩვენი მინერალური წყალი. 81. მტკვრის მარცხენა შენაკადი. 86. მრავალხმიან სასულიერო საგალობელთა კრებული ევანგელიკურ ეკლესიაში. 87. მიხეილ ჯავახიშვილისეული პერსონაჟის გვარი. 89. განვითარების ერთ-ერთი მონაკვეთი. 90. ვინ იყო დინასტიით სპარსეთის მეფე კიროსი? 91. ცნობილი ქართველი პიანისტი. 92. ვასილ ჩხაიძის კინოროლი. 93. ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყანა აზიაში. 94. ვერიკო ანჯაფარიძის მიერ გახმოვანებული მულტპერსონაჟი.

**შვეულად.**

1. ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიგა ფენა. 2. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში, რომლის სახელმწიფო ენასაც ჰოლანდიური წარმოადგენს. 3. თეთრი და ალისფერი ვარდების ომში მონაწილე სამეფო დინასტიის წარმომადგენელთაგანი. 5. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქი გერმანიის გაერთიანებამდე. 6. ბალეტის დამდგმელი პირი. 8. სახელმწიფოც და მდინარეც დასავლეთ აფრიკაში. 9. XVII საუკუნეში მოღვაწე ცნობილი ნიდერლანდელი ფერმწერი ქალაქ დელფტიდან. 10. რა ჰქვია კინორეჟისორ ვაიდას? 11. არგენტინის ახლანდელი ნაკრების ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე, დიეგო... 12. ჯონათან სვიფტის მიერ აღწერილი კუნძული. 16. ბაღი - ძველქართულად. 17. რაიმეს შემადგენელი ნაწილი. 20. პრეპარატი, რომელსაც იღებენ სამკურნალო ნივთიერების გამოწურვით მცენარეული ქსოვილებიდან რაიმე გამხსნელის საშუალებით. 24. ედგარ ალან პოს მშობლიური ქალაქი აშშ-ში. 25. მარცვლოვანი კულტურა, რომლის ნაწარმიც „ჰერკულესის“ სახელწოდებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყოფილ საბჭოეთში. 26. ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის ოპერა რუსული ბილინების გმირის შესახებ. 30. საბჭოეთის მმართველი გასული საუკუნის 80-იან წლებში. 31. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნაპოლეონ ბონაპარტეს მმართველობისას. 32. რაიმე ორგანიზაციის წარდგინება საზოგადოებისათვის. 33. ერთ-ერთი სამეფო რეგალია. 37. უფლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს გარკვეულ სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობებს. 38. რუსულად - **Норка**, ქართულად რა? 39. რაიმე საქონლის გაყიდვა გრძელვადიანი არენდით. 43. პირი, რომელიც სამსახურეობრივი დანიშნულებით უძვრება ადამიანებს პირის ღრუში. 44. მოძრაობის გადამცემი ბორბალი. 48. საბავშვო სათამაშო, იგივე ჩიკორი. 49. სარეკლამო დანიშნულების მაღალპოლიგრაფიული სტანდარტებით დამზადებული განცხადება. 52. ვესტგოთების მეფე,რომელმაც 410 წელს რომი დაიპყრო. 53. ვინი-პუჰის გამხმოვანებელი ფიოდორ ხიტრუკის მიერ შექმნილ მულტფილმში. 54. „სნიკერსის“ შიგთავსი მცენარეული სამყაროდან. 58. ქალაქი გერმანიაში, რომლის საფეხბურთო კლუბიც „ვერდერის“ სახელით ასპარეზობს. 59. როგორი შეიძლება იყოს ელვა ბუნებაში? 60. შესაფუთი მასალის დასამზადებლად ხმარებული სინთეტიკური პოლიმერი. 61. შორი სივრცეების საჭვრეტი ხელსაწყოთაგანი. 65. წარსულის უძლიერესი კალათბურთელი ვილნიუსის „ჟალგირისიდან“. 66. აღმოსავლური ტკბილეული. 70. დროის ვრცელი მონაკვეთი. 71. მწერლის ერთ-ერთი ამპლუა. 75. კოლუმბიელი მწერალი, ავტორი რომანისა „მარტოობის ასი წელიწადი“. 76. შვედეთის ფულის ერთეული ევროს ეპოქამდე. 77. ისტორიული ოლქი სამხრეთ საფრანგეთში. 78. იგივეა, რაც მაგნიტი. 82. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი ძმების გვარი. 83. ტუბერკულოზის გავრცელებული მეორე სახელი. 84. რა იჭმევა ორი ხელით, თუ გული გულობს? 85. ნერონის მასწავლებელი. 88. დანიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.



**6**

**კროსვორდი**

ჯუზეპე ტორნატორეს ფილმი (6)
თანაბარზომიერი ნაბიჯით სვლა (5)
ნიკოლოზ სანიშვილის ფილმი (7)
კინოგადასაღები მოედანი (9)
გაუშლელი ყვავილი (6)
სქესის არქონა (6)
დიდი თუთიყუში (3)
დედალოსის ვაჟი (7)
ძველი „ზარბაზანი" (9)
ბულგარეთის მთები (4)
როგორი შეიძლება იყოს ხმალი? (7)
პანტელეიმონის ვაჟი (5)
აგულის ვაჟი (5)
კოღოების მხოცავი (10)
ავთანდილი (5)
(8)
სოფელი სიღნაღის რნ-ში (5)
მინერალი (7)
ჩუკოვსკის ექიმი (8)
როგორია ადამიანი, ვინც ნასიამოვნებია იმით რაც აქვს? (9)
სპილბერგის უცხოპლანეტელი (3)
ბედნიერი შემთხვევა (6)
ცისკრის რომაული ქალღმერთი (6)
ქალაქი პორტუგალიაში (5)
დიდი ჩაქუჩი (3)
გეომეტრიული ფიგურა (3)
კორეა-იაპონიის ჩემპიონატის ფინალის ქალაქი (8)
პოეტი, რომელსაც უფრო ლამაზი ცოლი უნდოდა რომ ჰყოლოდა (8)
დიდი იტალიელი გენიოსი ფერმწერი (7)

ქეთოს მამა კინოში (6)
მწერალ პიუზოს სახელი (5)
ადგილობრივი ძირძველი მოსახლე (9)
მრუდების სახაზავი (6)
სპარტაკის მშობლ. მხარე (6)
ფილმი, „ჩვენი... რა?" (3)
ფრანგი ფიზიკოსი (5)
ეკალი (4)
ირლანდიის პარტია (3)
ინდუიზმის ღვთაება (6)
ქალაქი და პორტი ჩილეში (5)
აშშ-ს შტატი (7)
იმწამსვე, ანუ... (4)
ქალაქი პერუში (7)
ბაყაყური ცურვა (5)
ძველი ბერძნული პოლისი (6)
მცოცავღეროიანი მცენარე (5)
წარმოსახვითი წრფე, რომლისკენაც ფუნქცია მიისწრაფვის (9)
დაღესტან-ჩეჩნეთის 3-ე იმამი (6)
აგამემნონის ქალიშვილი (8)
ფრანგი ფიზიკოსი, ალექსი ტერეზ... (3)
კომპიუტერული ერთეული (5)
„პირველი სტეროს" ტოროლა (4)
(........) ჰამსუნი, ნორვეგიელი მწერალი (4)
თბილისის მაღაზია (4)
(........) ფეროუ (3)
ჩანაფიქრი (4)
45 წუთიანი მონაკვეთი ფეხბურთში (5)
უზბეკეთის ქალაქი (4)
დათიკოს მოსამსახურე (5)
აგატა კრისტისეული დეტექტივი (5)
დიაკრიტიკული ნიშანი ლინგვისტიკაში (5)
ბრაზილიელი მწერალი, ავტორი „ალქიმიკოსისა" (6)
მუსიკალური ბგერების კანონზომიერი მონაცვლეობა (5)
იხილეთ ფოტო (გვარი)



# ვირჯინია

**ვირჯინია** (Virginia) - მდებარეობს აშშ-ს ატლანტის ოკეანის, კერძოდ ჩესაპიკის ყურის სანაპიროზე და ღრმად არის შეჭრილი კონტინენტზე დასავლეთის მიმართულებით.




ვირჯინია იყო ერთ-ერთი პირველი იმ 13 კოლონიათაგანი, რომელთა ათვისება XVII საუკუნიდან დაიწყეს ინგლისელებმა და სახელიც დედოფალ (ქალწულ) ელისაბედ I-ის საპატივცემლოდ უწოდეს ( Virgin- ინგლ. *ქალწული*).

ვირჯინია იყო ევროპელთა პირველი მუდმივი საცხოვრებელი მას შემდეგ, რაც 1607 წელს იქ ინგლისელი პირველაღმომჩენები მივიდნენ.

აშშ-ს შემადგენლობაში შევიდა როგორც რიგით **მე-10 შტატი 1788 წლის 25 ივნისს**.

გეოგრაფიული თვალსაზრისით ვირჯინია ხუთ განსხვავებულ ნაწილად იყოფა, რომელთა თავისებურებას ოკეანიდან აპალაჩის მთებისაკენ თანდათან ამაღლებული რეგიონები განაპირობებს. ამიტომაც ამ შტატის ბუნებაც და ჰავაც მეტისმეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შტატის მთელი ტერიტორია მდიდარია საწყალოსნო სივრცეებით, თუმცა მათი მრავალრიცხოვნება არ ნიშნავს მათს სიდიდესა და მნიშვნელოვნებას. ამ რეგიონის მთავარი სიმდიდრე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით იქმნება.

შტატს სხვაგვარად „პრეზიდენტების შტატსაც" უწოდებენ, რადგან იქ დაბადებულნი არიან: ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, ჯეიმზ მედისონი, ჯეიმზ მონრო და სხვა გამოჩენილი ადამიანები.

ვირჯინიაში მდებარეობს არლინგტონის ეროვნული სასაფლაო.

## ისტორიული ექსკურსი

არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ადამიანი ვირჯინიის ტერიტორიაზე 12 000 წლის წინ დასახლდა. ევროპული კოლონიალიზაციის დაწყებამდე ეს რეგიონი მოსახლეობის საკმაოდ დიდი სიმჭიდროვით გამოირჩეოდა, რომლებიც ეწეოდნენ არა მხოლოდ მონადირულ ცხოვრებას, არამედ იყვნენ საუკეთესო მიწათმოქმედნი და შორეული ნაოსნობაც კარგად ჰქონდათ ათვისებული. ვირჯინიის აბორიგენები იყვნენ **პოუჰატენის** ტომის ინდიელები, რომლებიც **აგონკინის** ენათა ჯგუფის ენაზე მეტყველებდნენ.

### პირველაღმომჩენები

პირველი ევროპელი, ვინც ვირჯინიის ტერიტორიაზე დადგა ფეხი, შესაძლოა იყო ინგლისელი ზღვაოსანი ჯონ კებოტი და ეს ჯერ კიდევ 1497 წელს მოხდა. უფრო ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ იტალიელი **ჯოვანი და ვერაძანო** ნამდვილად ეწვია ამ მიწებს 1524 წელს და აღწერა კიდეც ის.

1570 წელს მომავალ ვირჯინიას პირველი ესპანელი მისიონერი მღვდლები ეწვივნენ, მაგრამ აბორიგენებმა არ მიიღეს ისინი.



1781 წ.19 ოქტომბერი. ამერიკის რევოლუციის დასასრული

1606 წელს ინგლისის მეფემ სპეციალური რაზმი გააზავნა ვირჯინიისკენ კაპიტან კრისტოფერ ნიუპორტის მეთაურობით და სწორედ ისინი დასახლდნენ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე 1607 წელს, საიდანაც ვირჯინიად წოდებული რეგიონის ათვლის წერტილი იწყება.

### რეგიონის ათვისება

XVIII-XVIII საუკუნეში ვირჯინია ინგლისის ყველაზე დიდი კოლონია იყო, სადაც დაახლ. 60 000 ევროპელი ცხოვრობდა, რომლებიც აფრიკიდან ჩამოყვანილი მონა ზანგების საშუალებით მიწათმოქმედებისათვის, და კონკრეტულად თამბაქოს წარმოებისათვის, ითვისებდნენ რეგიონს.

XVIII ს შუა წლები ვირჯინიის ტერიტორიაზეც სისხლისმღვრელი ბრძოლებით აღინიშნა, რასაც მთლიანობაში ამერიკის რევოლუვია ეწოდება და რაც ამ ქვეყნის საბოლოო ჩამოყალიბების დასაბამი გახდა. სწორედ ვირჯინია იყო ის შტატი, სადაც ინტენსიურად მწიფდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს შექმნის იდეა და იქმნებოდა მომავალი სახელმწიფოს კონსტიტუციის მონახაზი. ცნობილია სახელიც პიროვნებისა (ჯეიმზ მედისონი), ვინც ხელმძღვანელობდა და სახსრებს არ იშურებდა სახელმწიფოს ძირითადი კანონის შესაქმნელად და ამიტომაც დღემდე მას „კონსტიტუციის მამად" მოიხსენიებენ.



რიჩმონდი, ვირჯინიის შტატის კაპიტოლიუმი

**ვირჯინია** (vər-jĭn'yə)

**ფართობი** - 109,624 კვ.კმ. (42,326 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით 35-ე შტატი.

**მაქსიმალური სიგრძე** – 323 კმ

**მაქსიმალური სიგანე** – 755 კმ

**მოსახლეობა** - 6 875 000 (1999 წ).

**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 67 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე

**ადმინისტრაციული ცენტრი** - რიჩმონდი

**ვირჯინია ბიჩი** - მდებარეობს შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის ყურის ნაპირზე. არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული კურორტი, რომელიც ყოველწლიურად 2 მილიონზე მეტ ტურისტს ემსახურება.

ქალაქი დაარსებულია 1607 წელს და ითვლება ამ რეგიონის მთავარ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრად თავისი უნივერსიტეტით და მრავალფეროვანი ექსპონატების მქონე ისტორიული მუზეუმით.



VIRGINIA BEACH



**დროშა** - *ლურჯ ფონში ჩასმული თეთრი წრე, ძირს განრთხმულ მტერზე გამარჯვებული რაინდის გამოსახულებით*



**ღერბი** - *წარწერით* ***Virginia. Sic Semper Tyrannis***



**ფრინველი** - *კარდინალი* ***(Cardinal);***



**ყვავილი** - *შვინდის ყვავილი* ***(Flowering Dogwood)***



**ხე** - *ბაძგი* ***(American Holly).***

**დევიზი** - *ლათ.* ***- Sic semper tyrannis***

*ასე მიეგებათ ტირანებს! (იგულისხმება დროშაზე გამოსახული დამარცხებული მტერი*

*** ვირჯინია 41 დამოკიდებელ ქალაქად და 95 ოლქადაა დაყოფილი.

*** ვირჯინია აშშ-ში მე-12 ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

*** შტატის მოსახლეობის 77,4 %-ს თეთრკანიანები შეადგენენ, 19 % ეკუთვნით შავკანიანებს, 2,6%-ია აზიიდან და ოკეანიიდან გამოსულთა რაოდენობა, 0,2 % - აბორიგენი ინდიელები.

*** ვირჯინიის მოსახლეობის 70% ქალაქებში ცხოვრობს. შტატის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რიჩმონდ-პორტსმუტის მეტროპოლიაში მოსახლეობა 1 მილიონს აღწევს.

*** ვირჯინიის პირველმოსახლენი უმთავრესად ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენლები იყვნენ. შემდგომში მოსახლეობის დიდმა სიჭრელემ რელიგიური მრავალფეროვნებაც განაპირობა და ახლა ძნელია ითქვას, თუ უპირატესობა რომელ აღმსარებლობას ეკუთვნის.

*** უდიდესი ქალაქებია: ვირჯინია ბიჩი (432 000), რიჩმონდი (195 000), ჰემპტონი (134 000), როანოკი (100 000), ლინჩბურგი (67 000), დენვილი (60 000).

- დუმბაძის კანონშია
- მასშტაბური
- ხახვისებრთა ოჯახის
- თევზსაჭერი საშუალება
- აზარტი
- ნახვამდის!
- ექსკურსიამძღოლი
- სკანდინაველთა ღმერთი
- ამერიკ. როკ მომღერალი
- იაპონიის ქალაქი
- სერიალი ძაღლის შესახებ
- ჩინური არქიტექ. ნაგებობა
- ძვ.სომეხი ფეხბურთელი
- რუსეთის კუნძული
- ფრინველი / ლიტ. ჟანრი
- თვალებდათხრილი მეფე
- არაბული ზღაპრის გმირი
- ამერიკელ ქალთა სახელი
- XIX ს ფრანგი გრაფიკოსი
- XX ს არაბი მწერალი
- ქალის სახელი / მრგვალი რიცხვი
- ებრაელი მწერალი ნობელიანტი
- სამკურნალო მცენარე
- ორნაწილიანი / მოსეს ძმა
- ჩვენი ტბა / ნერწყვის გამოყ.
- ქალაქი პერუში
- მიმდევრის ბოლოსართი
- STOP !
- სამურაების „კოდექსი“
- დელონი / კარდაკარ სიარული
- ინდიელ. ტომი
- სუფთა მოგება ძიუდოში
- ბელგიელი მევიოლინე
- ბერძნ. ასო
- ჩრდილი
- სიგრძის საზომი ერთეული
- (....) ჩიანელი
- ბრეგვაძე
- ვენესუელას მდინარე
- სახელოვანი რუსი მოჭიდავე
- ვიწრო ბნელი დერეფანი
- ფრანგი მსახიობი ანუკ....
- კარლ მარქსის მშობლ. ქალაქი
- კიდობნის პატრონი
- წელი ასეთიც არის
- ნავთობმზიდი
- კოფი ანანის ორგანიზაცია
- (.....) ლესკო
- ავტოინსპექცია (სასაუბრ.)
- ფრანგი მწერალი
- წყლის შემცველობა ჰაერში
- დიდი ჯოხი / სიმი ტატნობი
- (.....) უკრაინკა / გაუნათლებელი
- იგივე „ზამში“ / დიდი მოჭადრაკე
- დაუსახლებელი / მედიცინ. დარგი
- მელაძის ჰიტი / რუსი სპარტაკი
- (......) სკოლა
- XX ს ფინელი არქიტექტორი
- არაბულ. ქვეყანა / დიდი სტადიონი
- ზოდიაქო / იაპონიის კუნძული
- ალას სიმღერა
- დამცინავი / უჯრედს სწავლობს
- (.....) ქამუშაძე
- ყვავილი
- სოფელი ზუგდიდის რ-ნში
- დედამიწის ღვთაება
- STOP !
- STOP !
- STOP !
- ნიადაგი
- ბერძნ. ანბანის ასო
- გოდოლის ქალაქი
- არაბი ჭაბუკი
- (...) არმსტრონგი
- კაპურის ცოლი / სიმინდს აქვს
- კლდის მასალა
- იაპონ. ქალაქი
- იესოს სახელი ყურანში
- ძველი რომში სისუფთავის დამცველი
- (.....) მთასა მყვირალო
- მუშაობის ერთეული
- ეგვიპტ. ღმერთი
- ჯიში
- მომავალ შეხვედრამდე!
- ოიდიპოსის ქალაქი
- ვულკანს აქვს
- ბილიარდ.ჯოხი
- ჩაიკოვსკის ოპერა
- ჯიუტი